ახალგაზრდობის სააგენტო

ACADEMY FOR PEACE AND DEVELOPEMENT
მშვიდობისა და განვითარების აკადემია

ბორჯომი

ახალგაზრდების
საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების
კვლევა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

2020

სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას.

ა(ა)იპ „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს “გააძლიერე ცვლილებისათვის - ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ახალგაზრდობის მონაწილეობისათვის”, რაც გულისხმობს ევროპული გამოცდილების გაზიარებას და ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საჯარო მოხელეებისათვის განვითარების პროგრამებს. შესაბამისად, ახალგაზრდობის სააგენტო ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ერთვება აღნიშნულ პროგრამაში და ატარებს ახალგაზრდების საჭიროებების კვლევას.

ახალგაზრდობის კვლევა

კვლევის შედეგები

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

2021

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიზნებები 2

რეკომენდაციები 7

შესავალი 9

მეთოდოლოგია 10

თვისებრივი კვლევის შედეგები 13

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები 13

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები 18

ახალგაზრდების ჩართულობა 22

სამომავლო გეგმები 24

დასკვნა 24

რაოდენობრივი კვლევის შედეგები 28

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები 28

სამოქალაქო აქტიურობა 29

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები 33

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა 35

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები 36

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები 38

მოხალისეობა 40

სპორტული აქტივობები 42

მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება 43

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები 44

ტოლერანტობა 45

დასკვნა 46

დანართი 51

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამოქალაქო აქტიურობა

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 44% ფიქრობს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის, ხოლო 40% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია.
- გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი ამბობს, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე ჩაერთო მოხალისეობრივ აქტივობებში (24%), მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები) (23%), მონაწილეობდა სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში (18%), სხვა სახის აქტივობებში კი უფრო იშვიათად იყვნენ ჩართული.
- გამოკითხულმა ახალგაზრდებმა მათ წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები დაასახელეს. უმრავლესობა (61%) მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხსა და თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობის) შესაძლებლობის ნაკლებობას (55%) მიიჩნევს. ასევე, ხშირად დასახელდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (43%), ვარჯიშში, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა (42%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა (37%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ არ არის ჩართული მუნიციპალიტეტისა და/ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში, მიზეზად კი მონაწილეები არაინფორმირებულობას ასახელებენ. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ზოგჯერ ინფორმაციას საერთოდ ვერ იღებენ აქტივობების შესახებ, ზოგჯერ კი დაგვიანებით ეცნობიან მას.
- მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები არ არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მიზეზად კი ახალგაზრდებში ინფორმირებულობის დაბალ დონეს ასახელებს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში ჩართულობას, მისი განმარტებით, ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ პროექტებში. აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად მუნიციპალიტეტის ვებგვერდს, ტელევიზიასა და გაზეთს იყენებენ.
- რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ინფორმაციას კი ძირითადად სკოლებში ავრცელებენ.

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (81%) ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ სოციალური ქსელების საშუალებით იღებს.

- გამოკითხული ახალგაზრდების 27% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არმონაწილეობის ძირითად მიზეზებად კი ინფორმაციის არქონა სახელდება.
- რესპონდენტების 45%-ს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში.
- რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედს (23%) მიუმართავს ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით, ხოლო უმრავლესობას (72%) - არა.
- მონაწილეთა უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ კმაყოფილია მიღებული დახმარებით, 31% ამბობს, რომ უკმაყოფილოა, 6% კი ვერ აფასებს, რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილოა გაწეული დახმარებით.
- ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილს არ სმენია და არც მონაწილეობა მიუღიათ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ რაიმე აქტივობაში, ნაწილს კი სმენია და მონაწილეობაც მიუღია მუნიციპალიტეტის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტი აქტიურია სპორტული აქტივობების ორგანიზების კუთხით.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს ძირითადად სპორტულ აქტივობებს სთავაზობს. მერია სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ახალგაზრდებს წახალისების მიზნით ფულად ჯილდოსაც გადასცემს ხოლმე. გარდა ამისა, ახალგაზრდებს საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკების პროგრამას სთავაზობს, რომლის ფარგლებშიც წარჩინებული სკოლის მოსწავლეები საზღვარგარეთ მიჰყავთ. რესპონდენტის განმარტებით, ამჟამად აქტივობები კორონავირუსის გავრცელების გამო შეჩერებულია.
- რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ძირითადად კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებს ახორციელებენ, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები არამარტო კლასგარეშე საკითხებს ეცნობიან, არამედ დამატებით სკოლის საგნებშიც ემზადებიან და ზოგიერთი პროფესიის ტექნიკებსაც შეისწავლიან, მაგ, ჟურნალისტიკას.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე შემდეგი გამოწვევებია: ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული და გასართობი სივრცეების ნაკლებობა/არარსებობა; სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სპორტული მოედნების სიმცირე/არარსებობა; პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა; სკოლებში ონლაინ გაკვეთილების რეჟიმზე გადასვლა - მასწავლებლების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა; არაფორმალური განათლების

ხელმისაწვდომობა; საჯარო ბიბლიოთეკების არარსებობა ან ბიბლიოთეკაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა; სამუშაო ადგილების სიმცირე და მიგრაცია.

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ძირითადია მიგრაციის, პროფესიული და/ან უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და ახლგაზრდებისთვის თავშეყრის სივრცის გამოყოფის საკითხები.
- რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებებს, მათი აზრით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის პრობლემურია ტრანსპორტირება და მასთან დაკავშირებული ხარჯები.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (81%) და ინტერნეტთან (99%) აქვს.
- რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ინფორმაციის მისაღებად (74%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (67%), გასართობად (65%) და სასწავლო მიზნით (61%) იყენებენ.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი განათლების ხელმისაწვდომობას გამოწვევად მიიჩნევს. მერიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში პროფესიული და/ან უმაღლესი სასწავლებელი არ არის, რის გამოც ახალგაზრდები თბილისში გადადიან საცხოვრებლად. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით კი ზოგიერთ სოფელს ინტერნეტთან წვდომა არ აქვს.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (62%) მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია.
- ზოგადად გამოკითხულთა 24% ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო სრულწლოვანი რესპონდენტების მესამედი (33%) ამბობს, რომ დასაქმებულია. უფრო კონკრეტულად, 14-17 წლის რესპონდენტების - 6%, 18-22 წლის ახალგაზრდების - 33%, ხოლო 23-25 წლის გამოკითხული ახალგაზრდების 48% ამბობს, რომ დასაქმებულია.
- დასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა (62%) ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია.
- ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ამავდროულად, ეძებენ სამსახურს (30%), მათი 57% სამსახურს 1-12 თვეა რაც ეძებს.
- ახალგაზრდები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, ყველაზე ხშირად ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები სამუშაო ადგილების ნაკლებობა (60%) და დასაქმების სერვისების არარსებობაა (53%).

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ. ახალგაზრდების განმარტებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში არ არსებობს კარიერული განვითარების საშუალება. ასევე, მათი განცხადებით, არ არსებობს სტუდენტისა და მოსწავლის გრაფიკზე მორგებული სამუშაოები.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობებით, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (55%) უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა.
- რესპონდენტთა 45% უკმაყოფილოა მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობის შესაძლებლობით.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (65%), ლიტერატურული კაფის (39%), ახალგაზრდული ცენტრისა (35%) და ახალგაზრდული ბანაკის (35%) ფუნქციონირება სურთ.
- რესპონდენტთა 39%-ის თქმით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, 43%-ს კი ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს მათი ინტერესების შესაბამის აქტივობებსა და მეგობრებთან ერთად ყოფნას უთმობენ. ეს აქტივობები არის როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, არ არის ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები დროის ერთად გატარებას შეძლებენ.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების 32%-ის განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა მიუღია.
- გამოკითხული 14-17 წლის ახალგაზრდების 33%-ს მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში, 18-22 წლის ახალგაზრდების - 25%-ს, ხოლო 23-25 წლის ახალგაზრდების - 29%-ს.
- ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (65%), ამის მიზეზად 38% მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ არაინფორმირებულობას ასახელებს, 35% კი - არასაკმარის დროს.

სპორტული აქტივობები

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (33%) აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით კვირაში რამდენჯერმე არის დაკავებული.

- თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი (30%) ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური/სპორტული აქტივობით, ხოლო 12% ამბობს, რომ წელიწადში რამდენჯერმე აქტიურობს ფიზიკურად.
- კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართვას, ყველაზე მეტჯერ ფიტნეს ვარჯიშები (48%), ცურვა (40%) და ცეკვა (27%) დაასახელეს.
- იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად (თვეში/წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული/ფიზიკური აქტივობით (55%), ამის მიზეზად ყველაზე ხშირად არასაკმარის დროს (44%), სურვილის არარსებობას (25%), სასურველი წრის არარსებობასა (21%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (19%) ასახელებენ.

მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის (82%), ალკოჰოლისა (73%) და მარიხუანას (75%) მოხმარება პრობლემურია.
- ასევე, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (72%) თვლის, რომ ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემური საკითხია.
- გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები (43%) ფიქრობს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება პრობლემურია.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს.
- მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (58%), უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას (55%) და საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას (55%) ასახელებენ.

ტოლერანტობა

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების 48% ამბობს, რომ რელიგიური უმცირესობებისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო 43% - ნეიტრალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.
- გამოკითხულთა 41% ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობებისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო ნახევარი (50%) ამბობს, რომ დამოკიდებულება ნეიტრალურია.
- გამოკითხული ახლგაზრდების თითქმის მესამედი (30%) ამბობს, რომ სექსუალური უმცირესობებისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო 41%-ს ნეიტრალური.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისას.

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ძირითადი ნაწილისთვის (62%) ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, მიუხედავად ასაკისა, დასაქმების საკითხია. თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა (32%) ამბობს, რომ არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. ამასთანავე, როგორც თვისებრივი კვლევიდან გამოიკვეთა, რესპონდენტების აზრით, დასაქმების საკითხის პრობლემურობა მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების მიგრაციას უწყობს ხელს. გამოკითხული ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული და სამსახურს ეძებენ, მიიჩნევენ, რომ დასაქმებაში სტაჟირების შესაძლებლობა (55%) და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (51%) დაეხმარებათ. **შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ახლგაზრდებს შესთავაზოს ისეთი პროგრამები, რომელიც ახალგაზრდებს სხვადასხვა ტიპის სამსახურში სტაჟირების შესაძლებლობას შესთავაზებს და დასაქმების სერვისებს მათთვის ხელმისაწვდომს გახდის.**
2. ასევე, ხშირად პრობლემად დასახელდა თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა (55%), რასაც თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც ადასტურებენ. მათი თქმით, არ აქვთ სივრცე, სადაც შეკრებასა და დასვენება/გართობას შეძლებდნენ. ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (65%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ლიტერატურული კაფეს (39%), ახალგაზრდული ცენტრისა (35%) და ახალგაზრდული ბანაკის (35%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. **შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებისთვის გასართობი/დასასვენებელი სივრცეების შექმნა/მოწყობაზე იზრუნოს.**
3. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამის მიზეზად 31% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 6%-ის თქმით, გვიან გაიგო აღნიშნული აქტივობის შესახებ. შედეგად, ყოველი მესამე ახალგაზრდა (37%) ინფორმირებულობის პრობლემას აწყდება, რასაც ასევე, თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც ადასტურებენ და აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ საერთოდ ვერ იღებენ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელსაც მიაჩნია, რომ ახალგაზრდებში ინფორმირების დონე დაბალია. ამავდროულად, ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გასაცნობად სოციალურ ქსელებს იყენებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ ასევე, ახლობლები/მეგობრები/ნათესავები და ტელევიზია დასახელდა. **შესაბამისად,**

მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების ინფორმირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება, განსაკუთრებით კი ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროების უფრო ეფექტიანად გამოყენება და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ გასული 12 თვის მანძილზე მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, მიზეზად ყოველ მესამე (38%) აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.**
5. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლისა და მარიხუანის საშუალებების მოხმარება პრობლემურია. გარდა ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (55%), იშვიათად (თვეში ან წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არის დაკავებული სპორტული/ფიზიკური აქტივობით, მიზეზად არასაკმარის დროს (44%), სურვილის არარსებობას (25%), სასურველი წრის არარსებობასა (21%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (19%) ასახელებენ. მიზეზად სურვილის არარსებობას უფრო ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები და ასევე, 18-22 წლის ახალგაზრდები ასახელებენ, ვიდრე მამრობითი სქესისა და სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები. **შესაბამისად, სასურველია, ახალგაზრდებში, განსაკურებით გოგონებსა და ქალებში, ასევე 14-17 წლისა და 23-25 ახალგაზრდებში ფიზიკური/სპორტული აქტივობის პოპულარიზაცია. გარდა ამისა, სასურველია, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და/ან ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.**

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14-25 წლის 155 ახალგაზრდა. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-25 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა, კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს, გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

<u>რაოდენობრივი კვლევის</u> მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 155 რესპონდენტი.

<u>თვისებრივი კვლევის</u> ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში (14-17, 18-22, 23-25 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

<u>სამიზნე ჯგუფები</u>

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-25 წლის ახალგაზრდები;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნლები.

<u>კვლევის ინსტრუმენტები</u>

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა „სოციალური კვლევისა და კონსულტაციის ცენტრის“ მიერ ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 15-20 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

<u>რესპონდენტთა შერჩევა</u>

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-25 წელია.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომაროებიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალიწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

<u>მონაცემთა შეგროვება და ანალიზი</u>

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 2020 წლის 12 დეკემბრიდან 2021 წლის 20 იანვრამდე მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - 2020 წლის დეკემბერში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

<u>კვლევის შეზღუდვები</u>

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში ერთ შემთხვევაში ორ წელს ითვლის, მეორე შემთხვევაში - ოც წელზე მეტს, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი კი დაახლოებით ექვსი წელია, რაც კონკრეტულ პოზიციაზე[1] მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- **ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული და გასართობი სივრცეების ნაკლებობა/არარსებობა;**
- **სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სპორტული მოედნების სიმცირე/არარსებობა;**
- **პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;**
- **სკოლებში ონლაინ გაკვეთილების რეჟიმზე გადასვლის პრობლემა -მასწავლებლების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა;**
- **არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;**
- **საჯარო ბიბლიოთეკების არარსებობა ან ბიბლიოთეკაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა;**
- **დასაქმება;**
- **მიგრაციის პრობლემა.**

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს გაერთობიან და/ან ნაყოფიერად გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ყოფნას, სეირნობას და/ან მათთვის საინტერესო საკითხების გაცნობასა და ჰობს (მაგალითად, ხატვა, წიგნის კითხვა, ფილმის ყურება, ფეხბურთის თამაში და სხვა) უთმობენ. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი სოფლებში არ არის ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები დროის ერთად გატარებას შეძლებდნენ. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები, მათ შორის არასრულწლოვანი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ჩართული არიან საოჯახო და/ან სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში.

[1] რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

კვლევაში მონაწილეების ძირითადი ნაწილი მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის მთავარ პრობლემად გასართობი და შემეცნებითი სივრცეების არარსებობას მიიჩნევს. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ არ არსებობს ისეთი დაწესებულება, გარდა პარკისა, სადაც ისინი შეკრებას და გართობას შეძლებენ; მონაწილეთა ნაწილის განმარტებით, მათ დასახლებულ პუნქტებში არ არის ისეთი სივრცე, როგორიცაა მაგალითად, კინოთეატრი, კაფე; მონაწილეები ფიქრობენ, რომ აღნიშნული პრობლემა ტურიზმის განვითარებასაც უშლის ხელს, ვინაიდან ქალაქი ტურისტებს გასართობ ადგილებს ვერ სთავაზობს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების ძირითადი ნაწილი, ასევე, ბიბლიოთეკების არასებობის ან მისი გაუმართაობის პრობლემის შესახებ საუბრობს. როგორც მონაწილეები განმარტავენ ქალაქ ბორჯომში ერთი ბიბლიოთეკა არსებობს, თუმცა ქალაქის ცენტრს მოშორებულია, ინფრასტრუქტურა კი გაუმართავი და მოუწესრიგებელი, რის გამოც ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებული მისი გამოყენებით. მონაწილეთა ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ მათ დასახლებულ პუნქტებში არ არის სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც ახალგაზრდების სპორტულ/ფიზიკურ განვითარებას შეუწყობდა ხელს. მონაწილეთა ნაწილი, განსაკუთრებით კი 23-25 წლის ახალგაზრდები საუბრობენ პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, რაც თავის მხრივ მიგრაციის პრობლემას იწვევს. მონაწილეები განმარტავენ, რომ ახალგაზრდები სკოლის შემდგომი განათლების მისაღებად დედაქალაქში მიემგზავრებიან და მუნიციპალიტეტიდან მასიურად ხდება მათი გადინება.

„საერთოდ, ახალგაზრდებს ამ პერიოდში განსაკუთრებით არ აქვთ ისეთი ადგილები, სადაც გაატარებენ თავისუფალ დროს, გაერთობიან, ძირითადად პარკში უნდა იყო, მშვიდი ადგილები არ გვაქვს, კალათბურთს ვთამაშობ და სპორტული მოედნებიც არ არის.“ (კაცი, 16 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„ბორჯომში არის სპორტდარბაზი და სოფელში, რომელიც ბორჯომიდან ორსაათიანი გზაა ვერ წავალ ბორჯომში, რომ რაღაც გავაკეთო. სოფლებში თუ იქნება გასართობი ადგილები უფრო უკეთესი იქნება, რა ვიცი. მე ვფიქრობ რომ 2 საათი ვერავინ გაივლის რომ სპორტდარბაზში წავიდეს ან რამე გასართობ ადგილზე წავიდეს.“ (კაცი, 22 წლის, სოფელი ტაბაწყური, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„გასართობთან ერთად მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, კიდევ, შემეცნებითი ადგილები. ბიბლიოთეკა იყო ჩემი საყვარელი ადგილი იმიტომ, რომ ისეთი გარემო იყო შექმნილი, მაგრამ ძალიან ძველია უკვე, ყველა ზღვარს გადაცილებული ესე რომ ვთქვათ და აი, მსგავსი ადგილები თუნდაც, რომ მივიდეს მოსწავლე და დაჯდეს უბრალოდ და ელემენტარული სკოლის მასალა მოიძიოს, ან ნუ, რაც საჭიროა, მარტო მოსწავლეზე არ არის აქ საუბარი. არც შემეცნებითი და არც გასართობი არ არის. არ არის ახალგაზრდებისთვის მეტი შანსი, რომ განვითარდნენ, ან გაერთონ, ან რაღაც ახალი აღმოაჩინონ.“ (ქალი, 21 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

მონაწილეთა ნაწილი კი საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემაზე საუბრობს, მათი განმარტებით, საღამო საათებში ტრანსპორტით მგზავრობა შეზღუდულია, რაც პრობლემას განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას უქმნის. ახალგაზრდები საღამოს საათებში კლასგარეშე საგანმანათლებლო პროცესებში ჩაბმასა და

მეგობრებთან ერთად შეკრებას ვერ ახერხებენ. განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ისაუბრეს ახალგაზრდებმა. სკოლის მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა ნაწილმა არ იცის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რის გამოც გაკვეთილები უცდებათ ხოლმე. ასევე, პრობლემად მასწავლებელთა კადრების ნაკლებობაც დასახელდა. გარდა ამისა, სრულწლოვანი მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ზოგადად, სკოლებში სწავლების ხარისხი დაბალია და ბავშვებს სხვადასხვა სფეროს აღმოჩენის შესაძლებლობებს არ აძლევს, არამედ დამტკიცებულ პროგრამას მიჰყვებიან. ერთ-ერთი მონაწილის თქმით კი ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაზე სწავლა რთულია, რადგან საკმარისად კარგად არ იციან ქართული ენა, ხოლო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ქართული ენის გაკვეთილების სიხშირე მათთვის საკმარისი არ არის. რესპონდენტის აზრით, სასურველია, ქართული ენის წრეების შექმნა მსგავსი ტიპის დასახლებებში. რაც შეეხება დასაქმების საკითხს, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში პროფესიის შესაბამისი სამსახურის პოვნა რთულია, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში გადადიან საცხოვრებლად, რადგან მათ იქ კარიერული წინსვლის მეტი შანსი აქვთ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში, მონაწილეების აზრით, არსებული სამუშაო ადგილები ძირითადად სეზონურია და ხშირად სამუშაო გრაფიკი არ არის მორგებული სტუდენტებსა და მოსწავლეებზე. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ერთნაირია ყველასთვის, მიუხედავად მისი ასაკის, სქესისა და სხვა მახასიათებლებისა.

> *„კიდევ დავამატებდი იმასაც, რომ ეხლანდელ პანდემიურ შექმნილ ვითარებაში, ბევრმა ხნიერმა მასწავლებელმა არ იცის კომპიუტერის მოხმარება, ვერ ერკვევა ტექნიკაში და ხშირად ამიტომ ცდება გაკვეთილები, რაც ძალიან ცუდია.“ (კაცი, 16 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)*

> *„კიდევ პრობლემაა მასწავლებლების არარსებობა. მაგალითად, ჩემი ქიმიის მასწავლებელი სურამიდან დადის, რადგან ადგილზე არ გვყავს კვალიფიციური მასწავლებლები, კიდევ არ გვაქვს ქიმიის კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობით, სადაც ცდებს ჩავატარებდით და პრაქტიკულ გაკვეთილებს და კვლევებს თეორიულად გავდივართ ამის გამო.“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)*

> *„ჩემი აზრით, უდიდესს პრობლემას უქმნიან სტუდენტებს. მეოთხე კურსზე ვარ, მინდა დავიწყო მუშაობა, მაგრამ რომ მივდივარ და ვეუბნები, იქნებ შემითავსოთ და ნახევარ განაკვეთზე დავიწყო მუშაობა პირდაპირ გეუბნება დამსაქმებელი, რომ იცი რა, მე შენ არ მჭირდები, მე მჭირდება 1 კადრი, ვინც დილიდან საღამომდე იმუშავებს. ჩემი აზრით, ეს უდიდესი პრობლემაა.“ (ქალი, 21 წლის, სოფელი ბალანთა, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)*

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. მონაწილეების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტს დიდი როლი აკისრია ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევაში. მათი

აზრით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა უნდა მოისმინონ ახალგაზრდების პრობლემები და განიხილონ მათ მიერ შეთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები. მონაწილეთა ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის მთავარი როლი ინვესტორების მოძიებასა და კარგ მენეჯმენტშია; ასევე, ახალგაზრდების მუნიციპალიტეტში შენარჩუნებაში, რადგან მათი აზრით, თუ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მცირე რაოდენობა იქნება, ნებისმიერი გასართობი ბიზნესი შესაძლოა, წამგებიანი აღმოჩნდეს და ინვესტორისთვის ბორჯომი საინტერესო არ აღმოჩნდეს. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია ახალგაზრდული ბანაკის ზონის შექმნა. გარდა ამისა, მონაწილეების ნაწილმა პრობლემების მოგვარებაში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობასაც გაუსვეს ხაზი. მათი აზრით, ახალგაზრდებმაც უნდა იზრუნოს მათ წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაზე.

> *„ვეთანხმები, სოციალიზმი არ არის რომ სახელმწიფომ გვიკეთოს ყველაფერი, ხო?! კაპიტალიზმია ქვეყანაში და ელემენტარული ინვესტორი გვჭირდება ჩვენ. ინვესტორი, რომელიც ჩადებს რაღაცა თანხას ელემენტარულ ბიზნესში, მარა ინვესტორს რა აინტერესებს? პირველ რიგში აინტერესებს მოგება თავისი, ხო? მოგება, რომ იყოს კი, გააკეთე ბორჯომში გასართობი რაღაცა, მარა ... ახალგაზრდობის ძალიან პატარა რაოდენობა გვაქვს... იმიტომ ვიძახი მე, იმ საგანმანათლებლო ცენტრს რაღაცა ნებისმიერ სახის რომ შეგექმნება, ახალგაზრდობის კონცენტრაცია გექნება ბორჯომში უფრო მეტი და შესაბამისად, უფრო მეტი ცოცხალი იქნება ქალაქი, უფრო მეტი რამე ამუშავდება, როცა იმედი ექნება ინვესტორს, რომ გააკეთებს რაღაცა ბიზნესს და ეს ბიზნესი არ დაეფუშება, ხო?! მერე უფრო მეტი ენთუზიაზმით შეხედავენ ამ საქმეს და მეტი რამეც გაიხსნება.“ (კაცი, 22 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)*

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლსაც სთხოვეს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ძირითადია **მიგრაციის, პროფესიული და უმაღლესი განათლებისა და ახლგაზრდებისთვის თავშეყრის სივრცის გამოყოფის საკითხები**. რესპონდენტის განმარტებით, ახალგაზრდები სკოლის შემდგომი განათლების მისაღებად ხშირად დედაქალაქში მიგრირდებიან, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტში აღარ ბრუნდებიან. შედეგად, რესპონდენტის აზრით, ბორჯომის მუნიციპალიტეტი ახლგაზრდა მოსახლეობის ნაკლებობას განიცდის. რესპონდენტის თქმით, მისი მხრიდან არსებობდა ბორჯომში ერთ-ერთი უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის მცდელობა, თუმცა ჩანაფიქრის განხორიცელება ვერ მოხერხდა, რადგან მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არასათანადო ყურადღება დაეთმო მას. რესპონდენტის აზრით, პროფესიული სასწავლებლის არსებობა გარკვეულწილად მიგრაციის შემცირებასაც შეუწყობდა ხელს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, დასაქმების პრობლემა სხვა პრობლემებთან შედარებით ნაკლებად მწვავედ დგას, რადგან ბორჯომში კერძო ბიზნესი შედარებით განვითარებულია, ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ მაგალითად, სასტუმროებსა და ქარხანაში. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, პრობლემები

ახალგაზრდების ასაკის, ეთნიკური წარმომავლობისა და სქესის მიხედვით არ განსხვავდება და ერთგვაროვანი გამოწვევები დგას მათ წინაშე.

„გამოწვევები ძალიან ბევრია, ჯერ ანუ ის არის, რომ ახალგაზრდული სივრცეები არ გვაქვს საერთოდ... ამხელა ბორჯომში ფართის გამოყოფა რა იყო, რომ ახალგაზრდული ცენტრი გახსნილიყო?! მითუმეტეს, სამინისტრო გვთავაზობდა, რომ ანუ თქვენ თუ ნახავთ ადგილსო, ხელფასსაც ჩვენ გადავუხდითო ახალგაზრდულის მუშაკებსო და ჩვენ გამოგიგზავნითო, მარა რავი, ვერ ნახეს... ბორჯომიდან გაედინებიან სტუდენტების სახით და იქიდან უკვე აღარ ბრუნდებიან, ამიტომ გვყავს ძალიან ცოტა ახალგაზრდები. ძირითადად გვყავს მარტო სკოლის მოსწავლეები. არც უმაღლესი და არც პროფესიული სასწავლებელი არ არსებობს. ანუ მაგაზეც გვქონდა შეთავაზებები ... გორის უნივერსიტეტი თავის ფილიალსაც გააკეთებდა, მარა მაგაზეც რავი, არავინ არ მოგვისმინა.... დასაქმების პრობლემა უფრო ნაკლებად არის ჩვენთან იმიტომ, რომ იმდენი სასტუმროებია, ანუ ქარხანაც არის ჩვენთან, როგორც მოგეხსენებათ, ბორჯომის და ანუ, არ უჭირთ რა დასაქმება. ვისაც დასაქმება უნდა, ზოგი სასტუმროში საქმდება, ზოგი ქარხანაში, ზოგი კერძო სექტორში და ანუ სამუშაო უფრო არ ჭირს, ვიდრე, ახალგაზრდების ნაკლებობას უფრო განვიცდით, რა.“ (სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, ახლგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები განსხვავდება ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების წინაშე დგება ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების პრობლემა. გარდა ამისა, რამდენიმე სოფელს ინტერნეტთან წვდომა დღემდე არ აქვს, რაც დამატებითი პრობლემაა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტი ასევე განმარტავს, რომ პრობლემები ასაკობრივ ჭრილშიც განსხვავდება და დამოკიდებულია ასაკობრივი კატეგორიების ინტერესებსა და განვითარებისადმი მათეულ მიდგომებზე. გარდა ამისა, რესპონდენტი ფიქრობს, რომ ზოგიერთ პროექტსა თუ პროგრამაში შესაძლოა, ვერ ხდებოდეს რელიგიურ უმცირესობათა შეხედულებების გათვალისწინება.

„პრობლემა ყველასთვის ერთი ვერ იქნება. ჩვენთან სოფლებიდანაც დადიან ბავშვები და თავიდან ჭირდა, თუმცა მოვაგვარეთ ტრანსპორტირების პრობლემა, რომ გვიან უწევდათ წასვლა, ის რომ საშუალება არ აქვს ოჯახს რომ მგზავრობის ფული გადაიხადოს. მგზავრობა უფასოა სამუშაო დღეებში, მაგრამ შაბათ-კვირას ფასიანია იმიტომ, რომ კერძო ტრანსპორტი დადის, იქაც შევძელით და რამდენიმე ბავშვი, შორი სოფლებიდან ვინც დადიოდა მოვაგვარეთ და უფასოდ დადიან. მთავარი პრობლემა რაც არის, რამდენიმე სოფელია ბორჯომში, რომელსაც ინტერნეტთან წვდომა არ გააჩნია და ბავშვებს ძალიან უჭირთ, თან კოვიდის პირობებში ვერ ერთვებიან ონლაინ.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„ჩემი გამოცდილებით, ასაკის მიხედვითაც განსხვავდება პრობლემები და რელიგიური შეხედულებებითაც განსხვავდება. იყო კონკრეტული ღონისძიება, ამ ღონისძიებაზე მამაოც გვყავდა მოწვეული. ორი ბავშვი იყო კათოლიკე, არ იყო მართლმადიდებელი. დაგეგმილი გვქონდა, რომ მამაო მოვიდოდა, დაგვლოცავდა პატარა პარაკლის

გადაიხდიდა, მამო ჩვენოს იტყოდა და მერე დაიწყებოდა ღონისძიება. საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გვქონდა გაკეთებული მსგავსი ღონისძიება. უცებ გავაანალიზეთ, რომ არ გვქონდა გათვალისწინებული ამ ბავშვებზე... მამაოს ვთხოვეთ, პარაკლისი და რაღაცები არ ჩაატარა. უბრალოდ მოვიდა, ბავშვები დალოცა... ასაკობრივს შორის არის რაღაც ზღვარი. ალბათ, უფრო ადამიანების შეხედულება არის. ახლა 5 წლის ბავშვს და 20 წლის ახალგაზრდაზე თუ ვისაუბრებთ, კი ბატონო არის განსხვავებები, მაგრამ თუ ვსაუბრობთ 10-13 წლის ახალგაზრდაზე აქ უკვე ასაკობრივი ზღვარი ფაქტიურად არ არის." (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

კვლევის მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აცხადებს, რომ ყველაზე ხშირად მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ სმენიათ. მონაწილეებმა მათთვის ნაცნობი შემდეგი აქტივობები/პროგრამები დაასახელეს: „რა? სად? როდის?", „ეტალონი", ახალგაზრდული ბანაკები, ოლიმპიადები, იმიტირებული სასამართლოს პროექტი, სპორტის უფასო გაკვეთილები, წარმატებულ სპორტსმენთა სტიპენდიის პროგრამა, მუსიკალური ფესტივალები, გარემოს დასუფთავებასთან დაკავშირებული აქტივობები. რესპონდენტთა მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუღია კიდეც მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და თვლიან, რომ აქტივობებში ჩართულობა ყველა ახალგაზრდისთვისაა ხელმისაწვდომი. ერთ-ერთი რესპონდენტი კი მიიჩნევს, რომ აქტივობებში ძირითადად ერთი და იგივე ახალგაზრდაა ჩართული; მისი განმარტებით, სკოლის მხრიდან პროექტში მონაწილეობის ერთი და იგივე კანდიდატების წარდგენა ხდება ხოლმე. ასევე, ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ სპორტული აქტივობები ქალაქ ბორჯომში ტარდება, ხოლო სოფელი ამ მხრივ მივიწყებულია.

„ყოველწლიურად ტარდება „რა? სად? როდის?" და „ეტალონი" სკოლებში და კიდევ სხვადასხვა პროექტებში ჩართვაზე მოდის ხოლმე მოთხოვნა სკოლაში. გარკვეულ პროექტებში მეც ვიყავი ჩართული, მაგალითად, იმიტირებული სასამართლოს პროექტში და ძირითადად პრობლემა ისაა, რომ სულ ერთი და იგივე ბავშვები ვერთვებით, რითაც ჩრდილი ადგება სხვა ბავშვებს. მე ვიცი, რომ თუნდაც ჩემს სკოლაში ძალიან ბევრი კარგი ბავშვი სწავლობს, მაგრამ რატომღაც ბევრჯერ მე წარმადგინეს და ასეა სხვაგანაც, ეს რატო ხდება არ ვიცი.." (ქალი, 16 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„სპორტულ ღონისძიებებზე შემიძლია ვთქვა, რომ სოფლებში საერთოდ არ ტარდება... რომ ვთქვათ, სოფელში დაიწყო რამე სპორტული ღონისძიება არ არის ეგეთი, ბორჯომში, ქალაქში ტარდება. მაგალითად, მე მკლავჭიდის მოყვარული ვარ და ყოველთვის მაგაზე დავდივარ, ვვარჯიშობ მაგაზე. ბორჯომშიც ყოფილა, წეღანაც ვთქვი, რომ 3 სოფელში ერთი დარბაზი მაინც რომ იყოს ახალგაზრდებმა რომ

ივარჯიშონ, მე მგონი, ეგ უფრო სჯობს.“ (კაცი, 22 წლის, სოფელი ტაბაწყური, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

კვლევის მონაწილეების ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ, ნაწილს კი - არა, განსაკუთრებით კი 23-25 წლის ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი აქტივობების შესახებ. მონაწილეთა მცირე ნაწილი ჩართული იყო ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, როგორიცაა ტრენინგ-ცენტრი „ჩვენი ბორჯომისთვის“ და „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი“.

„ტრენინგ-ცენტრი ,,ჩვენი ბორჯომისათვის“ არის ძალიან სასარგებლო ჩვენთვის და მე პირადად დამეხმარა განვითარებულიყავი ადამიანებთან კომუნიკაციის მიმართულებით.“ (კაცი, 15 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი“ ესე ჰქვიათ, ტელევიზიის ორგანიზაციაა და მე პირადად ბევრჯერ ვიყავი პროექტებში ჩართული. ერთ-ერთი ეხლა რაც გამახსენდა არის „მეტი ქალი პარლამენტში“, იყო ესეთი პროექტი, შემდეგ რაღაც აქციის მაგვარიც. ნუ, მოკლედ, ხშირად ვარ ხოლმე მათთან პროექტებში.“ (ქალი, 21 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა სხვადასხვა სახის სასურველი აქტივობა დაასახელეს, რომელშიც ჩართულობას ისურვებდნენ, ასეთია: შემოქმედებითი აქტივობები, არაფორმალური განათლების კურსები, ახალგაზრდებთან შეხვედრები და არსებული პრობლემებისა და იდეები განხილვა, ადამიანის უფლებების გაცნობა.

„ვფიქრობ, რომ ბევრს აქვს ხატვის, სიმღერის ნიჭი და მხოლოდ სკოლაში ვერ ვითარდებიან და ამ კუთხით კარგი იქნებოდა მათი გააქტიურება.“ (ქალი, 16 წლის, სოფელი ციხისჯვარი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„თუ ესეთი პროგრამა იქნება, ვინც გაათვიცნობიერებს ახალგაზრდებს ჯერ პირველ რიგში საკუთარ უფლებებში კარგად რო გაითავისონ, ვის რა უფლება აქვს და მერე რაც ყველაზე მთავარია მუნიციპალიტეტის და მმართველი ორგანოების უფლებებში და მოვალეობებში. რავი დემოკრატიულობის უკეთესად წარმართვის მიზნით, დემოკრატია ხო ხალხის მმართველობაა.“ (კაცი, 22 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს ძირითადად სპორტულ აქტივობებს სთავაზობს ხოლმე, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო ყველა აქტივობა შეჩერებულია. გარდა სპორტული აქტივობებისა, მერია ახალგაზრდებს საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკების პროგრამას სთავაზობს, რომლის ფარგლებშიც წარჩინებული სკოლის მოსწავლეები საზღვარგარეთ მიჰყავთ და რამდენიმე დღიან აქტივობებში ერთვებიან. ასევე, მერია სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ახალგაზრდებს

(სპორტი, მუსიკა და ა.შ.) წახალისების მიზნით ფულად ჯილდოს გადასცემს ხოლმე. ბორჯომის მერიის წარმომადგენლის თქმით, 2020 წელს პირველად უნდა განხორციელებულიყო პროექტი, რომელიც ახალგაზრდების იდეებს დააფინანსებდა, თუმცა კორონავირუსის გავრცელების გამო აქტივობები და მათ შორის ეს პროექტიც შეჩერდა. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდებს ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობის შესახებ ტელევიზიის, მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და გაზეთების საშუალებით მიეწოდებათ. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაცია თავად ახალგაზრდების გამოკითხვის საფუძველზე პირველად ორი წლის წინ მიიღეს და მას შემდეგ მონაცემთა შეგროვება აღარ მომხდარა.

„ბორჯომის მუნიციპალიტეტი ჩართულია საერთაშორისო ბანკის სისტემაში ანუ ჩაგვრთო ლატვიამ, ანუ დამეგობრებული ქალაქი ვართ ლატვიასთან, მადონასთან... 20 ბავშვი, წარჩინებული მოსწავლე წავიყვანეთ ლატვიაში ბანკში, შემდეგ წავიყვანეთ საფრანგეთში, შემდეგ გერმანიაში და წელს უკვე ჩვენთან უნდა ჩამოსულიყვნენ ისინი და პანდემია რომ იყო, მაგის გამო ვეღარ ჩამოვიდნენ... მუნიციპალიტეტი ამ წუთას ახალგაზრდებთან მიმართებაში ანუ ძირითადად სპორტულ ღონისძიებებს და პროგრამებს ახორციელებს, ისეთს არაფერს. ანუ, პირდაპირ ახალგაზრდული კუთხით არაფერს. გვქონდა ჩასმული, როგორც გითხარით, თუნდაც ახალგაზრდული იდეების დაფინანსება, რომლისთვისაც გვქონდა 10 ათასი ლარი... შემდეგ ვფიქრობდით, რომ გაგვეზარდა და გამოვაცხადებდით ახალგაზრდული იდეების კონკურსს და აქედან ამოირჩეოდა 3 ან 4 საუკეთესო იდეა და დაფინანსდებოდა ეს პროექტები. გვქონდა ძალიან კარგი რაღაცეები, მაგრამ სამწუხაროდ წელს ვერ განვახორციელეთ პანდემიის პირობებში.“ (სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„ჩვენ მანამ ახალგაზრდული სააგენტო ტრენინგებს ჩაგვიტარებდა, სიმართლე რომ გითხრათ, ვერც მოვიფიქრებდით იმას ეხლა, არც გვიფიქრია, რომ ახალგაზრდებს უნდა შევეკითხოთ და იმის მიხედვით დავგეგმოთ. ეს რომ გავიგეთ, მე ვიყავი პირადად ტრენინგებზე და რავი, ძალიან ბევრი რამე ვისწავლე და ჩემთანაც რომ მოვედი სამსახურში, ავუხსენი, რომ ანუ ჩვენ კი არ უნდა მოვარგოთ ახალგაზრდებს ჩვენი იდეები, არამედ იმათ უნდა შევეკითხოთ და იმათ რაც უნდათ, იმის მიხედვით უნდა დავგეგმოთ ბიუჯეტიც და იმის მიხედვით უნდა განვახორციელოთ.“ (სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდებისთვის შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ძირითადად, კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებს ახორციელებენ, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები არამარტო კლასგარეშე საკითხებს ეცნობიან, არამედ სკოლის საგნებშიც დამატებით ემზადებიან. მონაწილეობენ სპორტულ აქტივობებში, სწავლობენ სიმღერას, ხატვას და სხვა შემოქმედებით საქმიანობებს; ასევე, ეუფლებიან მაგალითად, ჟურნალისტურ ტექნიკებს. რესპონდენტების განცხადებით, მათ პროექტებს ნაწილობრივ ბორჯომის

მუნიციპალიტეტი, ხოლო ნაწილობრივ კერძო სექტორის წარმომადგენლები, მაგალითად, ბორჯომის ქარხანა აფინანსებს. რესპონდენტების თქმით, მათი პროექტების სამიზნე ჯგუფები ძირითადად ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები არიან. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად, ძირითადად, სკოლების დირექტორებს მიმართავენ, რომლებიც ინფორმაციას სკოლის მოსწავლეებში ავრცელებენ. რესპონდენტების თქმით, ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად იღებენ და როგორც წესი, ახალგაზრდებთან მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან. გარდა ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლების მიხედვით, პროექტის დასრულების შემდეგ, თემებზე მომუშავე პირები, პროექტის შეფასების მიზნით, ერთად მსჯელობენ და განიხილავენ ჩატარებული პროექტის დადებით და უარყოფით მხარეებს, ცდილობენ, გამოკვეთონ ის მახასიათებლები, რაც მათი აზრით, გაუმჯობესებას საჭიროებს.

„ეს არის ტრენინგ-ცენტრი, სადაც ბორჯომის ახალგაზრდობა უფასოდ სწავლობს ინგლისურ ენას, რუსულ ენას. გვაქვს ლიტერატურული კლუბი. გვაქვს რამდენიმე კლუბი: ჟურნალისტთა კლუბი გვაქვს, გვაქვს სამოქალაქო კლუბი, ასევე გამოყენებითი და სახვითი ხელოვნება. ბენეფიციარებს რაც შეეხება, ჩვენთან ცენტრში სწავლობს 400-მდე მოსწავლე. დაფინანსებას ვიღებთ ბორჯომის ქარხნისგან, ერთ-ერთი დამფუძნებელია ბორჯომის ქარხნის დირექტორიც და ნაწილს აფინანსებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„ინფორმირების რამე განსაკუთრებული გზა ან რეკლამის არ გვაქვს იმიტომ, რომ როდესაც 400 ბავშვი სწავლობს ცენტრში და პატარა ქალაქია ბორჯომი ყველა სკოლაში აქვთ ინფორმაცია. წლის დასაწყისშიც ჩვენ თვითონ დავდივართ და მასწავლებელსაც და დირექტორებსაც ვაფრთხილებთ, რომ მერე მათ ბავშვები გააფრთხილონ, რომ იწყება მიღება ტრენინგ ცენტრში და რეგისტრაცია, სხვა რამე განსაკუთრებული რეკლამის გზა არ გვაქვს.” (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„ესე კონკრეტულად რაიმე მექანიზმი და ამ განხრით რომ ვინმე მუშაობდეს ამ ეტაპზე - არა. უბრალოდ, ჩვენ ვინც ამ სფეროში და თემაზე ვმუშაობთ ვიკრიბებით და განვიხილავთ კონკრეტულ პროექტს, რა მოგვიტანა დადებითი, რა იყო კარგი, რა შეიძლება რომ უკეთესი ყოფილიყო, რა უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პროექტისთვის და ა.შ. მონაწილეებისგანაც ვიღებთ უკუკავშირს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, გარდა იმისა, რომ კონკრეტულ ცენტრებს წარმოადგენენ, ისინი ასევე საკრებულოს დეპუტატები არიან, რის გამოც მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და ღებულობენ ხოლმე მათი ორგანიზაციებისთვის საჭირო მხარდაჭერას.

„ჩვენთან ეგ უფრო ნაკლები პრობლემაა იმიტომ, რომ ასე თუ ისე კი ცენტრში ვმუშაობ, მაგრამ ამავე დროს ვართ საკრებულოს დეპუტატები ... შესაბამისად, ბევრად მარტივია

ჩვენი ურთიერთობა მუნიციპალიტეტთან. კი, ვთანამშრომლობთ, ეხლა ვაპირებთ ერთ-ერთი მოსწავლეს წიგნი დავუბეჭდოთ და ამაზე თანახმაა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების ჩართულობა

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ აქვთ სურვილი, ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა ძირითადი ნაწილი არ არის ჩართული მუნიციპალიტეტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებსა და საქმიანობაში; მიზეზად კი მონაწილეები არაინფორმირებულობას აცხადებენ. არმონაწილეობის ორი მთავარი მიზეზი გამოიყო: 1) მუნიციპალიტეტი არაა დაინტერესებული გაიგოს მათი პრობლემები - არ ტარდება გამოკითხვები და შეხვედრები ახალგაზრდებთან, 2) ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებული, რომ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართვის უფლება და საშუალება აქვთ; არ იციან, თუ როგორ შეიძლება, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობა. მონაწილეთა თქმით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ისეთი სივრცე, სადაც ჩატარდება ახალგაზრდებთან შეხვედრები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ პრობლემებს. მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს დაეთმოთ მნიშვნელოვანი ყურადღება და მათი აზრი მეტად იყოს გათვალისწინებული.

„მე ვფიქრობ, ჩვენ საერთოდ არ ვართ ჩართულები ამ პროცესებში. ბორჯომის საკრებულოში რასაც გადაწყვეტენ იმას აკეთებენ და ჩვენ საერთოდ არავინ გვეკითხება, რა გვინდა, ან ჩვენ რომ შევთავაზოთ იდეები და ჩვენი იდეები განახორციელონ მასე ჯერ არ მსმენია.“ (ქალი, 15 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„არ ვიცი, მე მოვხვდი პირველად თუ მართლა არ ყოფილა ასეთი კვლევა, სადაც გვეკითხებიან რა პრობლემები გვაქვს და რა გვინდა, მართლა არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. ჩემმა კლასელმა ჩამოწერა მასე მაგალითად, პრობლემა და როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება დროის გარკვეულ პერიოდში, და ვფიქრობ, თქვენთანაც არიან კლასში ასეთი ბავშვები, უბრალოდ, არ ვიცით, როგორ ჩავერთოთ და რა შეგვიძლია.“ (ქალი, 15 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

„,ელემენტარულად ბორჯომში რაღაც რო ტარდება ძაან რთულია, რო გაიგო. ეს რაღაცა იბეჭდება ბორჯომის გაზეთში და ამ ბორჯომის გაზეთს ყველა არ კითხულობს, მითუმეტეს ახალგაზრდა არ წაიკითხავს. რო ვთქვათ ინტერნეტ გვერდი გაკეთდესო, ინტერნეტ გვერდზე არ შევა ეხლა ვიღაც მიზანმიმართულად, შევიდეს ყოველ დღე ამოწმოს, რო ბორჯომის გვერდზე რა ხდება ძაან ნაკლებად სავარაუდოა. საინფორმაციო ზონები შეიძლება გაკეთდეს ანუ სტენდი, სადღაც სადაც განცხადება გაკეთდება აქა და აქ იგეგმება ეს ღონისძიება იგეგმება ეს ღონისძიება, გინდა მონაწილეობა მოდი აქ. მუნიციპალიტეტმა თვითონ, რო ნათლად რო შესთავაზოს, მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ და ტექნოლოგიების ეპოქაში მუნიციპალიტეტმა

უფრო მარტივად, გასაგებად უნდა მიაწოდოს მის მოსახლეობას ის, რასაც აკეთებს, რა ღონისძიებაც იგეგმება.“ (კაცი, 23 წლის, ქალაქი ბორჯომი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, მუნიციპალიტეტს საქმიანობაში ახალგაზრდები ჩართულები არ არიან. რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდების პასიურობის მთავარი მიზეზი მათი არაინფორმირებულობაა. რესპონდენტის აზრით, სასურველია, ახალგაზრდული საბჭოს შექმნა, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდები ჩაერთვებიან ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში ჩართულობას, მონაწილე თვლის, რომ ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, რაზეც პროექტში მონაწილეობის მსურველთა მზარდი რაოდენობა მეტყველებს.

„ჩემი აზრით, არის ის [არჩართვის მიზეზი], რომ ინფორმაციაც არა აქვთ იმათ, რომ აი, ვთქვათ, რო იცოდნენ, რომ ჩვენთან ბიუჯეტი კეთდება, აუცილებლად იქნება, ვისაც დააინტერესებს და მოვა და თავის აზრსაც გვეტყვის და იდეასაც, მაგრამ რავი, ანუ ისე ხდება, რომ ამის ინფორმირებასაც არ ვახდენთ, რომ აი, ჩვენთან კეთდება სიტყვაზე ბიუჯეტი, გვჭირდება თქვენი იდეები და მოდი, ერთად განვახორციელოთ. ეგეთი რაღაცეები არ ხდება ჩვენთან.“ (სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი მათ აქტივობებში. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, აქტივობა იმდენად მაღალია, რომ უკვე მათი რესურსები საკმარისი აღარ არის ყველას მსურველის ჩართულობის დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, მათი პროექტები ინკლუზიურია. ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტებით, ჩართული არიან როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური უმცირესობები. თუმცა, არ არიან ჩართული სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ისეთ ცენტრს მიმართავენ, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობს.

„შშმ პირები არ გვყავს ჩვენ, იმიტომ არა რომ ჩვენ არ მივიღეთ, უბრალოდ ამისთვის კიდევ არსებობს სხვა ცენტრი „თებე“. ამ ცენტრთან ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ, ხშირად ჩავდივართ ხოლმე, ბავშვებს საჩუქრებს ვუკეთებთ, ჩვენი ბავშვები ჩადიან და აკეთებენ ამ ყველაფერს. მაგრამ როგორც ასეთი შშმ პირები ჩვენთან არ სწავლობენ. სხვა დანარჩენი რელიგიის ან ეთნოსის მიხედვით, ვფიქრობ რომ მრავალფეროვანი არის ჩვენი მოსწავლეების კონტიგენტი.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)

სამომავლო გეგმები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, სამომავლო გეგმებში ის პროგრამები და პროექტებია, რომელიც 2020 წელს უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ კორონავირუსის გავრცელების გამო შეჩერდა. ასეთი პროექტები/პროგრამებია: საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი, ახალგაზრდული იდეის დაფინანსება, სხვადასხვა სფეროში/საქმეში წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება/დაჯილდოება. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდა მუნიციპალიტეტს, რომ განახორციელონ მეტი პროექტი/პროგრამა ახალგაზრდებისთვის, რესპონდენტის თქმით, აუცილებელია, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები თავშეყრასა და ერთად მუშაობას შეძლებენ, მოეწყობა მათთან შეხვედრები, შეხედულებებისა და აზრების გაცვლა.

> *„პირველ რიგში, ყველაზე აუცილებელი რაც არის, ჩემი აზრით, არის ის, რომ ახალგაზრდული სივრცეები შეიქმნას ბორჯომში, რომელიც საერთოდ არ არსებობს. რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდები იქ სისტემატურად ივლიან, ახალგაზრდებთან შეხვედრები გვექნება სისტემატურად და ადგილზე გამოიკვეთება უკვე ის პრობლემები თუ, ანუ რაც ახალგაზრდებს უნდათ და შემდეგ იმის მიხედვით, დაიგეგმება ბიუჯეტიც და იმის მიხედვით, მოხდება განხორციელებაც.“ (სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, მათი სამომავლო გეგმა ორგანიზაციის გაფართოებასა და შესაბამისად, დამატებითი დაფინანსების მოძიებას უკავშირდება. ხოლო მეორე ორგანიზაციის წარმომადგენელის თქმით, კონკრეტული სამომავლო გეგმა ჯერჯერობით შემუშავებული არ აქვთ.

> *„რა თქმა უნდა ვგეგმავთ გაფართოებას. ვგეგმავთ, რომ დავამატოთ სხვადასხვა აქტივობები, სხვადასხვა ჯგუფები, სხვადასხვა საგნები დავამატოთ, მაგრამ ამისთვის ფინანსებია საჭირო. ისევ და ისევ დამოკიდებულები ვართ - ან ბიზნესი უნდა შევაწუხოთ, ან მთავრობა. როგორც კი კოვიდი გადაივლის და ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში დაბრუნდება იმედი გვაქვს, რომ დაფინანსების გაზრდასაც მივაღწევთ, გაფართოებასაც მივაღწევთ, უფრო მეტ ბავშვს მივიღებთ, უფრო მეტ ბავშვს წავახალისებთ და უფრო აქტიურ ახალგაზრდობას ჩამოვაყალიბებთ ამ ქალაქში.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი)*

დასკვნა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას კვლევაში მონაწილეები სხვადასხვა სახის პრობლემაზე საუბრობენ. თავად ახლგაზრდების

თქმით, მუნიციპალიტეტში შემდეგი გამოწვევებია: ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული და გასართობი სივრცეების ნაკლებობა/არარსებობა; სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სპორტული მოედნების სიმცირე/არარსებობა; პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა; სკოლებში ონლაინ გაკვეთილების რეჟიმზე გადასვლის პრობლემა - მასწავლებლების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა; არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა; საჯარო ბიბლიოთეკების არარსებობა ან ბიბლიოთეკაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა; სამუშაო ადგილების სიმცირე და მიგრაციის პრობლემა.
ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. მონაწილეების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტს დიდი როლი აკისრია ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევაში. მათი აზრით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ ახალგაზრდების პრობლემებით და განიხილონ ახალგაზრდების მიერ შეთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მონაწილეები პრობლემების მოგვარებაში ახალგაზრდების ჩართულობასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მათი აზრით, ახალგაზრდები მათ წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაზე აქტიურად უნდა ზრუნავდნენ.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლსაც სთხოვეს. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ძირითადია მიგრაციის, პროფესიული და უმაღლესი განათლების, ახლგაზრდებისთვის თავშეყრის სივრცის გამოყოფის საკითხები. რესპონდენტის განმარტებით, ახალგაზრდები ხშირად დედაქალაქში მიდიან სამსახურის ან/და განათლების მისაღებად, რის გამოც ბორჯომში ახალგაზრდების რიცხვი მცირეა. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის პროფესიული ან/და უმაღლესი სასწავლებელი, რომლის არსებობაც გარკვეულწილად მიგრაციის შემცირებასაც შეუწყობს ხელს. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს ტრანსპორტთან ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვთ. გარდა ამისა, რამდენიმე სოფელს ინტერნეტთა წვდომა არ აქვს, რაც დამატებითი გამოწვევების წინაშე აყენებს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს.

კვლევის მონაწილე სრულწლოვანი ახალგაზრდების ნაწილს სმენია და მონაწილეობაც მიუღია მუნიციპალიტეტისა და არასამთვრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში, ხოლო ნაწილს არ სმენია და არც მონაწილეობა მიუღიათ მუნიციპალიტეტისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ რაიმე აქტივობაში. რაც შეეხება ახალგაზრდებს, რომელთაც სმენია/მონაწილეობა მიუღიათ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, ასახელებენ შემდეგ პროექტებსა და პროგრამებს: „რა? სად? როდის?“, „ეტალონი“, ახალგაზრდული ბანაკები, ოლიმპიადები, იმიტირებული სასამართლოს პროექტი, სპორტის უფასო გაკვეთილები, წარმატებულ სპორტსმენთა სტიპენდიის პროგრამა, მუსიკალური ფესტივალები, გარემოს დასუფთავებასთან დაკავშირებული აქტივობები. ახალგაზრდების მცირე ნაწილი ჩართული იყო ისეთი

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, როგორიცაა ტრენინგ-ცენტრი „ჩვენი ბორჯომისთვის“ და „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი“.
ახალგაზრდებმა თავის მხრივ, ის სასურველი აქტივობები დაასახელეს, რომელშიც ჩართულობას ისურვებდნენ. მათთვის სასურველი აქტივობებია: შემოქმედებითი აქტივობები, არაფორმალური განათლების კურსები, ახალგაზრდებთან შეხვედრები და არსებული პრობლემებისა და იდეები განხილვა, ადამიანის უფლებების გაცნობის კურსების გავლა.

რაც შეეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, მერიის წარმომადგენელის თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის ხშირად ახორციელებს სპორტულ აქტივობებს. ასევე, განახორციელეს საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის პროექტი. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი სპორტში წარჩინებულ ახალგაზრდებს წამახალისებელ ფულად ჯილდოსაც გადასცემს. რესპონდენტის განმარტებით, ამჟამად აქტივობები შეჩერებულია კორონავირუსის პანდემიის გამო, ზოგადად კი ახალგაზრდებს ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობის შესახებ ტელევიზიის, მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და გაზეთების საშუალებით მიეწოდებათ.

თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ აქტივობებზე, ისინი ძირითადად კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებს ახორციელებენ, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები კლასგარეშე საკითხებს ეცნობიან და ასევე, სკოლის საგნებში დამატებით ემზადებიან. არასამათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციას აქტივობების შესახებ ძირითადად სკოლებში ავრცელებენ. რესპონდენტების თქმით, ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციით შედეგად იღებენ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარალელურად საკრებულოს დეპუტატები არიან, რის გამოც მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და მათი ორგანიზაციებისთვის საჭირო მხარდაჭერის მიღება ბარიერებთან დაკავშირებული არ არის.

ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ აქვთ სურვილი ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა ძირითადი ნაწილი არ არის ჩართული მუნიციპალიტეტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში, მიზეზად კი მონაწილეები არაინფორმირებულობას აცხადებენ.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ახალგაზრდები აქტიურად ჩართული არ არიან, მიზეზად რესპონდენტი ახალგაზრდებში ინფორმირებულობის დაბალ დონეს ასახლებს. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართულნი არიან მათ აქტივობებში.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო გეგმებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, სამომავლო

გეგმები ჯერჯერობით არ აქვთ გაწერილი, თუმცა ვარაუდობს, რომ კორონა ვირუსის პანდემიის დასრულების შემდეგ აღდგება საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის, სხვადასხვა სფეროში/საქმეში წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება/დაჯილდოების პროგრამები და განხორციელდება ახალგაზრდული იდეის დაფინანსების პროგრამა. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად აუცილებელია, ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც მოეწყობა მათთან შეხვედრები და მსჯელობები. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების სამომავლო გეგმებს, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ განსაზღვრული აქვთ გეგმა, რაც ორგანიზაციის გაფართოებასა და დამატებითი დაფინანსების მოძიებას უკავშირდება.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 155-მა ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს. მათგან 52 ახალგაზრდა (34%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 51 ახალგაზრდა (33%) - 18-22 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 23-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში 52 ახალგაზრდაა (34%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 68% მდედრობითი სქესის, ხოლო 32% მამრობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დანართი, ცხრილი 2). მათი უმრავლესობა (55%) ქალაქ ბორჯომში ცხოვრობს, 34% - სოფლებში, ხოლო 10% დაბის ტიპის დასახლებაში (იხ. დანართი, ცხრილი 3).

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 32% სკოლის მოსწავლეა, 6%-ს სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული, არასრული პროფესიული განათლება 3%-ს, ხოლო სრული პროფესიული განათლება 4%-ს აქვს მიღებული, 19%-ს - არასრული უმაღლესი განათლება, ხოლო 28%-ს - სრული უმაღლესი განათლება (სპეციალისტის, ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) (იხ. დანართი, ცხრილი 46).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არასდროს ყოფილა ქორწინებაში (78%) და არ ჰყავს შვილი (90%). რესპონდენტთა უმრავლესობა (90%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს, ხოლო 7% - სომეხად (იხ. დანართი, ცხრილი 47, 48 და 49).

რესპონდენტთა ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი შემდეგნაირად გადანაწილდა. მონაწილეთა 19% ამბობს, რომ არ იცის, რამდენი აქვს ოჯახს შემოსავალი, 9% ამბობს, რომ ოჯახის შემოსავალი თვეში 300 ლარს არ აღემატება. 23%-ის განცხადებით, თვეში საშუალოდ 301-500 ლარის ოდენობით შემოსავალი აქვს. 24%-ის თქმით, კი - 501-900 ლარი. რესპონდენტთა 12% ამბობს, რომ ოჯახის შემოსავალი თვეში 901-1500 ლარის ფარგლებშია, ხოლო 14% ამბობს, რომ ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1500 ლარს აღემატება. ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ კი ყველაზე ხშირად ხელფასი (70%) და გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი (62%) სახელდება. შემოსავლის სხვა ტიპის წყარო კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

სამოქალაქო აქტიურობა

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ რა სახის სამოქალაქო აქტივობაში ჩაერთვნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეები ყველაზე ხშირად მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობას (24%), საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობას (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები) (23%), სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში მონაწილეობას (18%) ასახელებენ. სხვა პასუხები კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 2). დაახლოებით ყოველ მესამე გამოკითხულს (34%) კი არცერთ ჩამოთვლილ აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია. საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებასა და მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობას უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტები იღებენ, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები; ხოლო სრულწლოვანი რესპონდენტები უფრო ხშირად მონაწილეობას სოციალურ ქსელებსა და

ფორუმებზე საკითხების განხილვაში იღებენ, ვიდრე არასრულწლოვნები. ასაკობრივ კატეგორიებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია[2].

დიაგრამა 2



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (86%), რომელიც არჩევნების დროს სრულწლოვანი იყო (65%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 6).

ზოგადად, გამოკითხულთა 44% ფიქრობს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის (საერთოდ არ

[2] Fisher's exact = 0.018; 0.075;

არის გათვალისწინებული 12%, უფრო არ არის გათვალისწინებული, ვიდრე - კი - 32%). ასევე, დაახლოებით იგივე რაოდენობა - 40% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალიწინებულია (სრულად არის გათვალისწინებული 6%, უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე - არა - 34%). 14%-მა არ იცის და ასევე, 2% უარს ამბობს, უპასუხოს კითხვას, რამდენად არის გათვალიწინებული ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში (იხ. დანართი, ცხრილი 7). რაც შეეხება გამოკითხული ახალგაზრდების დამოკიდებულებას საკითხისადმი - მუნიციპალიტეტში მათ მსგავს ადამიანებს შეუძლიათ თუ არა, გავლენა იქონიონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, მათი უმრავლესობა (66%) თვლის, რომ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა, ხოლო 22% თვლის, რომ არ შეუძლიათ (იხ. დანართი, ცხრილი 8).

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს სთხოვეს, დაესახელებინათ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე, ხშირად დასახელდა შემდეგი პასუხები: თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა (55%), პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (43%), ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა (42%), უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა (37%). სხვა პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 3). საინტერესოა, რომ დასაქმებას პრობლემად უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ასახელებს, ვიდრე არასრულწლოვანი რესპონდენტები, თუმცა ამავდროულად არასრულწლოვან რესპონდენტთა უმრავლესობა მას პრობლემად მიიჩნევს. ასევე, თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობას, ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, პრობლემად უფრო ხშირად სრულწლოვანი ახალგაზრდები ასახელებენ, ვიდრე არასრულწლოვნები. ამ მხრივ, ასაკობრივ კატეგორიებს შორის არსებული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია[3]. ასევე, საინტერესოა, რომ დასაქმება და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემად უფრო ხშირად ქალაქის ტიპის დასახლებაში სახელდება, ვიდრე სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების მიერ[4].

[3] Fisher's exact =0.000; 0.000; 0.001

[4] დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.027; 0.035

დიაგრამა 3



შენიშვნა: რესპონდენტებს პასუხის ხუთი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით (81%) იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ, ასევე, დასახელდა ტელევიზია (45%) და ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (44%). სხვა სახის წყაროები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 9_1 – 9_9).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 27% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში; აქედან, მხოლოდ 6% ამბობს, რომ ინტენსიურად იყო ჩართული პროცესებში, 13%-ის განცხადებით რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 4%-ის თქმით, კი მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა. მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია გამოკითხულთა უმრავლესობას - 73%-ს (იხ. დიაგრამა 4). რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ/ვერ ჩაერთვნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათგან ვისაც მონაწილეობა არ მიუღია გადაწყვეტილების მიღების პროცესში 31% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 16%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია, 12%-ს არ ჰქონდა თავისუფალი დრო, ხოლო 6%-ის თქმით, გვიან გაიგო აღნიშნული აქტივობის შესახებ. სხვა სახის მიზეზები კი უფრო იშვითად დასახელდა, კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს 32% (იხ. დანართი, ცხრილი 10).

დიაგრამა 4



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, სრულად 100%-ად არ დაჯამდეს.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 19%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამების შესახებ, ხოლო 30%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამების შესახებ (იხ. დანართი, ცხრილი 12). კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედს (23%) მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (72%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 14). მათ ვისაც მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის/პროექტის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დაფინანსებისთვის (69%) და ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (26%) მიმართეს. სხვა სახის პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 15). მონაწილეთა უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული

დახმარებით (ძალიან კმაყოფილი - 29%, უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო - 34%), ხოლო 31% ამბობს, რომ უკმაყოფილოა (ძალიან უკმაყოფილო - 14%, უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი - 17%) მიღებული დახმარებით. 6%-ი კი ვერ აფასებს, რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილოა გაწეული დახმარებით (იხ. დანართი, ცხრილი 16).

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ასევე ეკითხებოდნენ, უსარგებლიათ თუ არა შემდეგი სახის სერვისებით: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრე, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. მონაწილეების ნახევარი (50%) ამბობს, რომ არცერთი ჩამოთვლილი პროგრამით არ უსარგებლია. დანარჩენ მონაწილეებს კი ყველაზე ხშირად არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უსარგებლია (47%). სხვა სერვისებით სარგებლობა კი შედარებით იშვიათად დასახელდა: კულტურული და სპორტული წრეებით სარგებლობა (25%), საბანაკე პროგრამებით სარგებლობა (19%), საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების გამოყენება (8%) (იხ. დანართი, ცხრილი 17_1 – 17_4). აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის არქონა (54%), დროის არქონა (24%) და პანდემია (22%) დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 18_1 – 18_13).

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (81%) და ინტერნეტთან (99%) აქვს (იხ. დიაგრამა 5). უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) ამბობს, რომ კომპიუტერთან წვდომა მხოლოდ სახლში აქვს, 19%-ს - როგორც სახლში, ისე სახლს გარეთ, 1% ამბობს, რომ მხოლოდ სახლს გარეთ აქვს კომპიუტერთან წვდომა, ხოლო 16%-ს საერთოდ არ აქვს კომპიუტერთან წვდომა. საინტერესოა, რომ სოფლად მცხოვრები რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ აქვთ წვდომა კომპიუტერთან, ვიდრე ქალაქში ან დაბაში მცხოვრებნი[5]. რაც შეეხება ინტერნეტთან წვდომას, რესპონდენტთა 66% ამბობს, რომ ინტერნეტთან წვდომა სახლში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს, 63%-ს მობილური ტელეფონის საშუალებით, 10%-ს ინტერნატთან წვდომა სახლს გარეთ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 20_1 – 20_3). რესპონდენტთა უმრავლესობა (61%) მიიჩნევს, რომ ინტერნეტი, რომელთანაც წვდომა აქვს ხარისხიანია, აქედან 42% ფიქრობს, რომ ხარისხიანია, თუმცა ძვირია, ხოლო 19%-ის განცხადებით, ხარისხიანი და იაფია. გამოკითხულთა 37% ამბობს, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ უხარისხოა. აქედან, 27%-ის აზრით, უხარისხო და ძვირია, ხოლო 10%-ის შეფასებით, უხარისხო, მაგრამ იაფია (იხ. დანართი, ცხრილი 21).

[5] დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.000

დიაგრამა 5



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

კითხვაზე, ძირითადად, რა მიზნით იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად ინფორმაციის მიღება (74%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (67%), გასართობად (65%) და მათივე ინიციატივით სასწავლო მიზნით გამოყენება (61%) დაასახელეს. საინტერესოა, რომ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ხშირად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს სოციალური ქსელების გამოყენებისა და გართობის მიზნით, ვიდრე სხვა ტიპის დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები[6].

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (62%) მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია (ძალიან რთულია 17%, უფრო რთულია, ვიდრე მარტივი 45%). გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის ახალგაზრდების 6% ამბობს, რომ დასაქმებულია, 12% ეძებს სამუშაოს, ხოლო 63% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს, გარდა ამისა, არასრულწლოვანთა 19%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, დაახლოებით ყოველი მესამე (33%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდების 16% ამბობს, რომ დასაქმებულია, 43% ეძებს სამსახურს, დაახლოებით მესამედი კი (32%) კი არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე დასაქმებას არ ცდილობს. 23-25 წლის გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (48%) ამბობს,

[6] დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.002; 0.002

რომ დასაქმებულია, 37% კი სამსახურს ეძებს, ხოლო 6% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 6). ზოგადად, დასაქმებულ რესპონდენტთა (24%) უმრავლესობა (62%) ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია, 32%-ის აზრით, მეტ-ნაკლებად დაცულია, ხოლო 5%-ს მიაჩნია, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცული არ არის (იხ. დანართი, ცხრილი 29).

დიაგრამა 6



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ამავდროულად, ეძებენ სამსახურს (30%), მათი ძირითადი ნაწილი (57%) 1-12 თვეა, რაც სამსახურს ეძებს (43% - 1-6 თვემდე, 15% - 6-12 თვემდე), 17% სამსახურს ერთ თვეზე ნაკლებია, რაც ეძებს, ხოლო 22% კი ერთ წელზე მეტია, რაც სამსახურის პოვნას ცდილობს (იხ. დანართი, ცხრილი 25). ახალგაზრდები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები ზოგადად, სამუშაო ადგილების ნაკლებობა (60%) და დასაქმების სერვისების არარსებობაა (53%). მიზეზად ასევე, ხშირად დაასახელეს კოვიდ19-ის პანდემია (43%) და სწავლასთან სამსახურის შეუთავსებლობა (26%). სხვა სახის პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 26_1- 26_13). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა სტაჟირების შესაძლებლობა (55%) და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (51%) დასახელეს (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7



შენიშვნა: კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს - 30%. რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების მთავარი წინაპირობა ცოდნა/განათლება (74%) და მეტი სამუშაო ადგილების არსებობაა (59%). ასევე, ხშირად დასახელდა მონდომება/მოტივაცია (52%) და სამუშაო გამოცდილების ქონა (34%), სხვა პასუხები კი შედარებით იშვიათად დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 28).

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კმაყოფილია ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (55%) პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა 35% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 30_1). რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებით კმაყოფილებას, უკმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების 45% გამოთქვამს, კმაყოფილებას კი - 40%. (იხ. დანართი, ცხრილი 30_2).

კითხვაზე, დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (65%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ლიტერატურული კაფეს (39%), ახალგაზრდული ცენტრისა (35%) და ახალგაზრდული ბანაკის (35%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება (იხ. დიაგრამა 8). აღსანიშნავია, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება ახალგაზრდული ბანაკისა და ცენტრის დასახელებისას შეიმჩნევა. ახალგაზრდული ბანაკის ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტებისთვის, ხოლო ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 18-25 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები[7]. ასევე, საინტერესოა, რომ ლიტერატურული კაფეს არსებობა უფრო ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს სურთ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებს[8].

დიაგრამა 8



შენიშვნა: რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

[7] ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.005; 0.001

[8] სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.014.

გამოკითხული ახალგაზრდების 39%-ის თქმით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, გამოკითხულთა 43%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. 15%-ის თქმით კი მსგავსი სივრცე მუნიციპალიტეტში არსებობს (იხ. დანართი, ცხრილი 32). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (56%) და ყველაზე ხშირად ტრენინგების/ლექციების მოსასმენად (44%), პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად/დასაგეგმად (44%) და მეგობრებთან შესახვედრად (44%) გამოუყენებია. რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლია სივრცით (6%), ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად აღნიშნული სივრცის გამოყენებისადმი ინტერესის არქონასა (33%) და სივრცის საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარეობას (33%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 33, 34_1 – 34_6; 35_1 – 35_9).

მოხალისეობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 32% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში - 29% აცხადებს, რომ მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში[9], ხოლო 1% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ. უმრავლესობის (65%) თქმით კი მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9



[9] მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის მანძილზე საქართველოში ან/და საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღიათ (65%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ: 38% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში, 35%-ს ამისთვის საკმარისი დრო არ აქვს. სხვა ტიპის პასუხები კი უფრო იშვითად დასახელდა (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10



შენიშვნა: კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია - 65%. რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

სპორტული აქტივობები

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 16% აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით თითქმის ყოველ დღე არის დაკავებული (5-7 დღე კვირაში), 14%-ის განცხადებით, კვირაში 3-4 დღე არის ფიზიკური აქტივობით დაკავებული, 13%-ის თქმით - კვირაში 1-2 დღე, 13% კი ამბობს, რომ თვეში სულ რამდენჯერმე (უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში 1-2 დღე) აქტიურობს ფიზიკურად, ხოლო წელიწადში რამდენჯერმე გამოკითხულთა 12% აქტიურობს. თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი (30%) ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური/სპორტული აქტივობით.

კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართულობას, გამოკითხულებმა ყველაზე მეტჯერ ფიტნეს ვარჯიშები (48%), ცურვა (40%) და ცეკვა (27%) დაასახელეს. სხვა სახის სპორტული აქტივობები კი შედარებით იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 41_1 – 41_11). საინტერესოა, რომ ფიტნეს ვარჯიშებსა და ცეკვაში ჩართულობა უფრო მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენლს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელ რესპონდენტებს[10].

იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად (თვეში ან წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული/ფიზიკური აქტივობით (55%), ამის მიზეზად არასაკმარის დროს (44%), სურვილის არარსებობას (25%), სასურველი წრის არარსებობასა (21%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (19%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 11). საინტერესოა, რომ მიზეზად სურვილის არარსებობას უფრო ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები და ასევე, 18-22 წლის ახალგაზრდები ასახელებენ, ვიდრე მამრობითი სქესის და სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები[11].

[10] სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.001; 0.044

[11] სქესის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.045; 0.007

დიაგრამა 11



შენიშვნა: კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ თვეში სულ რამდენჯერმე, წელიწადში რამდენჯერმე ან საერთოდ არ აქტიურობს ფიზიკურად - 55%. რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება

ახალგაზრდებს კვლევის ფარგლებში ეკითხებოდნენ, რამდენად პრობლემურია ბორჯომის მუნიციპალიტეტში მავნე ნივთიერებებსა და ჩვევებზე დამოკიდებულება. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის (82%) მოხმარება პრობლემურია (ძალიან პრობლემური 63%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 19%). ასევე, უმრავლესობა ამბობს, რომ ახალგაზრდებში ალკოჰოლისა (73%) (ძალიან პრობლემური 39%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 34%) და მარიხუანის მოხმარება (75%) (ძალიან პრობლემური 54%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 22%) პრობლემურია. გარდა ამისა, უმრავლესობა (72%) ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობასაც პრობლემად მიიჩნევს (ძალიან პრობლემური 52%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 20%). თუმცა, გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები (43%) ფიქრობს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება პრობლემურია (ძალიან პრობლემური 28%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 15%) (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს. ახალგაზრდების 46% ამბობს, რომ არ სურს მიგრირება, 12%-მა კი კითხვაზე პასუხი არ იცის (იხ. დიაგრამა 13). მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (58%), უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობასა (55%) და საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას (55%), ასახელებენ. ასევე, ხშირად დაასახელეს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (47%) (იხ. დანართი, ცხრილი 44_1 – 44_9).

დიაგრამა 13



შენიშვნა: რესპონდენტებს პასუხის ორი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ტოლერანტობა

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ტოლერანტობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც სთხოვდნენ აზრის გამოთქმას. რესპონდენტთა მესამედზე მეტი ამბობს, რომ დადებითი დამოკიდებულება აქვს რელიგიური (48%) და ეთნიკური (41%) უმცირესობებისადმი, ხოლო ნეიტრალური დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობებისადმი (41%) (იხ. დიაგრამა 14). საინტერესო განსხვავება გამოიკვეთა სქესის მიხედვით, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად გამოხატავენ დადებით ან ნეიტრალურ დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობებისადმი, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები[12].

[12] სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.048

დიაგრამა 14



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები, ორ ნაწილად იყოფა - 40% თვლის, რომ გათვალისწინებულია, ხოლო 44% თვლის, რომ არ არის გათვალისწინებული.

კვლევაში მნიშნველოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ რა სახის სამოქალაქო აქტივობაში ჩაერთვნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეები ყველაზე ხშირად მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობას, საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობას (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები), სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში მონაწილეობას ასახელებენ.

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში მონაწილეებს სთხოვეს, დაესახლებინათ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე, პრობლემად დასახელდა შემდეგი საკითხები: თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობის ნაკლებობა (დასვენება/გართობა), პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა,

ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა. საინტერესოა, რომ დასაქმებას პრობლემად უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ასახელებს, ვიდრე არასრულწლოვანი, თუმცა არასრულწლოვან რესპონდენტთა უმრავლესობაც მას პრობლემად მიიჩნევს. ასევე, თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობის ნაკლებობას, ვარჯიშსა და სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, პრობლემად უფრო ხშირად სრულწლოვანი ახალგაზრდები მიიჩნევენ, ვიდრე არასრულწლოვნები.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე, ახლობლები/მეგობრები/ნათესავები და ტელევიზია.

კვლევისთვის საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მეოთხედს მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ყველაზე ხშირად კი - პროექტის/აქტივობის დაფინანსებისთვის, ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის. რესპონდენტთა მიერ მუნიციპალიტეტის დახმარების შეფასებისას უმრავლესობა, ვინც დახმარება ითხოვა, კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დახმარებით.
რაც შეეხება ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არმონაწილეობის მიზეზად, მათი ნაწილი ინფორმაციისა არქონას ასახელებს.

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ასევე ეკითხებოდნენ, უსარგებლიათ თუ არა შემდეგი სახის სერვისებით: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და სპორტული წრეები, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. მონაწილეების ნახევარი ამბობს, რომ არცერთი ჩამოთვლილი პროგრამით არ უსარგებლია. დანარჩენ მონაწილეებს კი ყველაზე ხშირად არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უსარგებლია. აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად ყველაზე ხშირად ინფორმაციისა და დროის არქონა და ასევე, პანდემია დასახელდა.

კვლევა სწავლობდა ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან აქვს. თუმცა, სოფლად მცხოვრები რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ აქვთ წვდომა კომპიუტერთან, ვიდრე ქალაქში მცხოვრებნი. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინტერნეტი,

რომელთანაც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა საინფორმაციო ტექნოლოგიებს ყველაზე ხშირად ინფორმაციის მისაღებად, სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით, გართობისა და სწავლის მიზნით იყენებს. საინტერესოა, რომ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ხშირად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს სოციალური ქსელების გამოყენებისა და გართობის მიზნით, ვიდრე სოფლისა და დაბის ტიპის დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები.

კვლევის ინტერესის საგანს ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, 18-22 წლის ახალგაზრდების 16% ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო მათი 43% ეძებს სამსახურს. რაც შეეხება 23-დან 26 წლამდე რესპონდენტებს, დაახლოებით ნახევარი (48%) ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო მესამედზე მცირედით მეტი (37%) ეძებს სამსახურს. დასაქმებულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია. ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ეძებენ სამსახურს, მათი ძირითადი ნაწილი 1-12 თვეა, რაც სამსახურს ეძებს. მათი აზრით, უმუშევრობის მიზეზები სამუშაო ადგილების ნაკლებობა და დასაქმების სერვისების არარსებობაა. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა სტაჟირების შესაძლებლობა და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა დასახელეს.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კმაყოფილია ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა, ხოლო კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების შეფასებისას, ახალგაზრდების აზრი ორ ნაწილად იყოფა, 45% კმაყოფილია, ხოლო 40% უკმაყოფილია მუნიციპალიტეტში ამ მხრივ არსებული შესაძლებლობებით. კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, ლიტერატურული კაფეს, ახალგაზრდული ცენტრისა და ახალგაზრდული ბანაკის ფუნქციონირება სურთ. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული ბანაკის ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებს სურთ, ვიდრე სრულწლოვან რესპონდენტებს, ხოლო ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 18-25 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ. ასევე, ლიტერატურული კაფეს არსებობა უფრო ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს სურთ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებს.

გამოკითხული ახალგაზრდების 39%-ის თქმით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, 43%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. 15%-ის თქმით კი მსგავსი სივრცე მუნიციპალიტეტში არსებობს და მათ უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით, ყველაზე ხშირად ტრენინგებისა და/ან ლექციების მოსასმენად, პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და/ან დასაგეგმად გამოუყენებია.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების 32% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ. ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (65%), ამის მიზეზად მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის არქონასა და დროის არქონას ასახელებენ.

კვლევა ახლგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობასაც შეეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (43%) აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით კვირაში რამდენჯერმე არის დაკავებული. კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართულობას, ყველაზე ხშირად ფიტნეს ვარჯიშები, ცურვა და ცეკვა დასახელდა. საინტერესოა, რომ ფიტნეს ვარჯიშებსა და ცეკვაში ჩართულობა უფრო მეტ მდედრობითი სქესის წარმომადგენლს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელ რესპონდენტებს. იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული/ფიზიკური აქტივობით (55%), ამის მიზეზად არასაკმარის დროს, სურვილის არარსებობას, სასურველი წრისა და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას ასახელებენ. მიზეზად სურვილის არარსებობას უფრო ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები და 18-22 წლის ახალგაზრდები ასახელებენ, ვიდრე მამრობითი სქესისა და სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი რესპონდენტები.

ახალგაზრდებს კვლევის ფარგლებში ეკითხებოდნენ, რამდენად პრობლემურია ბორჯომის მუნიციპალიტეტში მავნე ნივთიერებებსა და ჩვევებზე დამოკიდებულება. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლის, მარიხუანის მოხმარება და აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია. ხოლო, გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები ფიქრობს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება პრობლემურია.

გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს. მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას, უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობასა და საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ.

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ტოლერანტობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც სთხოვდნენ აზრის გამოთქმას. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ დადებითი

დამოკიდებულება აქვს რელიგიური უმცირესობებისადმი (48%), ხოლო ნახევარი ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს ეთნიკური უმცირესობებისადმი. რესპონდენტთა 41% კი ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს სექსუალური უმცირესობებისადმი. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად გამოხატავენ დადებით ან ნეიტრალურ დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობებისადმი, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. რესპონდენტთა სხვა მახასიათებლების მიხედვით კი პასუხებს შორის განსხვავება არ გამოვლენილა.

დანართი

1. ასაკობრივი ჯგუფი				
	14-17 წელი	**18-22 წელი**	**23-25 წელი**	**ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)**
სიხშირე	52	51	52	155
%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

2. რესპონდენტის სქესი					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
მამრობითი	სიხშირე	12	18	19	49
	%	23.1%	35.3%	36.5%	31.6%
მდედრობითი	სიხშირე	40	33	33	106
	%	76.9%	64.7%	63.5%	68.4%
	სიხშირე	52	51	52	155
სულ	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3. დასახლების ტიპი					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
ქალაქი	სიხშირე	23	29	34	86
	%	44.2%	56.9%	65.4%	55.5%
დაბა	სიხშირე	5	6	4	15
	%	9.6%	11.8%	7.7%	9.7%
სოფელი	სიხშირე	24	16	14	54
	%	46.2%	31.4%	26.9%	34.8%
სულ	სიხშირე	52	51	52	155
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_1. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	29	26	23	78
	%	55.8%	51.0%	44.2%	50.3%
დასახელდა	სიხშირე	15	23	29	67
	%	28.8%	45.1%	55.8%	43.2%
სულ	სიხშირე	52	51	52	155

	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_2. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	25	30	33	88
	%	48.1%	58.8%	63.5%	56.8%
დასახელდა	სიხშირე	19	19	19	57
	%	36.5%	37.3%	36.5%	36.8%
სულ	სიხშირე	52	51	52	155
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_3. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - დასაქმება					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	26	15	10	51
	%	50.0%	29.4%	19.2%	32.9%
დასახელდა	სიხშირე	18	34	42	94
	%	34.6%	66.7%	80.8%	60.6%
სულ	სიხშირე	52	51	52	155
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_4. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - ტექნოლოგიებთან წვდომა (კომპიუტერი, ინტერნეტი)					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	31	45	41	117
	%	59.6%	88.2%	78.8%	75.5%
დასახელდა	სიხშირე	13	4	11	28
	%	25.0%	7.8%	21.2%	18.1%
სულ	სიხშირე	52	51	52	155

	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_5. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	34	40	41	115
	%	65.4%	78.4%	78.8%	74.2%
დასახელდა	სიხშირე	10	9	11	30
	%	19.2%	17.6%	21.2%	19.4%
სულ	სიხშირე	52	51	52	155
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_6. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - ვარჯიში, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	33	24	23	80
	%	63.5%	47.1%	44.2%	51.6%
დასახელდა	სიხშირე	11	25	29	65
	%	21.2%	49.0%	55.8%	41.9%
სულ	სიხშირე	52	51	52	155
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_7. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.9%	2.0%	0.0%	1.3%
არ ვიცი	სიხშირე	7	1	0	8
	%	13.5%	2.0%	0.0%	5.2%
არ დასახელდა	სიხშირე	30	40	50	120
	%	57.7%	78.4%	96.2%	77.4%
დასახელდა	სიხშირე	14	9	2	25
